სათავგადასავლო მარშრუტი სოფელ მერისში

მარშრუტის ტიპი: საველოსიპედო
სიგრძე: 7,7 კმ
ხანგრძლივობა: 3,5 სთ
გზის სახეობა: ასფალტირებული გზა, სასოფლო გრუნტის გზა, ბილიკი
სირთულე: მარტივი
მანძილი ბათუმიდან: 50 კმ
სიმაღლე ზღვის დონიდან: საწყისი - 505 მ, საბოლოო - 693 მ
ფიჭური ქსელების დაფარვის ზონა: სრულად

მარშრუტი მოიცავს სოფელ მერისის მიდამოებს, ვიზიტორებს სთავაზობს აქ არსებულ ბუნებრივი და ეთნოგრაფიული ღირსშესანიშნაობების მონახულებას.
მარშრუტი იწყება სოფ. მერისის ცენტრიდან და მიემართება მერისის ჩანჩქერისაკენ. მარშრუტის დასაწყისშივე გვხვდება თემურ დევაძის საოჯახო სასტუმრო, აქ შეგიძლიათ დააგემოვნოთ ადგილობრივი წარმოების აგროპროდუქტები, დაისვენოთ და დატკბეთ შესანიშნავი ხედებით. ჩანჩქერამდე მისასვლელი გზის ბოლო მონაკვეთი საცალფეხო ბილიკს მიუყვება. ჩანჩქერი, რომელიც 30 მეტრის სიმაღლიდან ეშვება მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. მერისის ჩანჩქერიდან მარშრუტი იმავე გზით უკან ბრუნდება და სოფელში მდებარე „გვახას“ საბანაოსკენ მიემართება. გზა გრუნტისაა და ველობილიკისთვის იდეალურ პირობებს ქმნის (მანძილი დაახლოებით 2,5 კმ). გვახას საბანაოსთან არის წყარო და საპიკნიკე ადგილი, სადაც შეძლებთ დაისვენოთ, ისადილოთ და დატკბეთ შესანიშნავი ხედებით.



სიმაღლე

მანძილი


ზედა აგარა
ქვედა აგარა
ზენდიდი
ზენდიდის ციხე
ხუნკუდა
ქედა
ცხემნა
ორცვა
ძენწმანი
ძენწმანის ციხე
ზესოფელი
ზვარე
ზვარეს ეკლესია
ვაიო
ლადო შავიშვილის ღვინის მარანი
ბუნებრივი სასმელი წყალი
ადგ. ნაგანარა
ადგ. ნაგანარა
ადგ. ნაბაკანი
ადგ. ნაბაკანი
ადგ. ნაბაკანი